

ოქმი #19
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2019 წელი, 29 ივლისი
ქ. ოზურგეთი
16.00 – 18.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დ. დარჩია-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ. ღურჯუმელიძე, ლ. ბიგვავა, გ. ჩაგანავა, ბ. დოლიძე, ლ. მგელაძე, ტ. აროშიძე, შ. გოგიბერიძე, გ. ჩავლეშვილი, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, გ. თოიძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 12, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო დღის წესრიგი, რომლიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციისა და მერიის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ე. გორდელაძე

ბიურო დაეთანხმა კომისიის დასკვნას-დადგენილების პროექტი არ შეიტანა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში და დაავალდებულა

მუნიციპალიტეტის მერია დაუყოვნებლივ წარმოადგნოს მერიის დებულებაში ცვლილებების შეტანის პროექტი.

2. „ქალაქ ოზურგეთში გურამიშვილისა და რუსთაველის ქუჩების კვეთაზე შუქნიშნის განთავსების ორგანიზების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ოსიკო თოთიბაძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 3 აპრილის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მ. ჭელიძე

არ იქნა შეტანილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში, შეთანხმდნენ მერიამ საკრებულოს შესაბამის კომისიასთან ერთად ბიუროს მომდევნო სხდომაზე წარმოადგინოს შენიშვნების შესაბამისად კორექტირებული პროექტი.

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე

გოჩა კილაძე

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის „ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

გადაწყვიტეს საკრებულოს ფრაქციებიდან სამუშაო ჯგუფში შესაყვანად მომდევნო ბიუროს სხდომამდე წარმოდგენილ იქნას თითო წარმომადგენელი მაინც.

6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: მ. გორგოშიძე

გადაწყვიტეს-განიხილოს დარგობრივმა კომისიამ და დასკვნა წარმოუდგინოს მომავალი ბიუროს სხდომას.

7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში (შეკვეთილში) ადგილობრივი მნიშვნელობის გზაზე საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ოსიკო თოთიბაძე

გადაწყვიტეს-განიხილოს დარგობრივმა კომისიამ და დასკვნა წარმოუდგინოს მომავალი ბიუროს სხდომას.

საკითხის განხილვისას ბიუროს წევრმა დ.ჭაკნელიძემ გააკეთა განაცხადება ცენტრალური გზიდან ეკალდიდის გადასახვევზე საგზაო ნიშნის განთავსების თაობაზე მოსახლეობის თხოვნის შესახებ.

გადაწყვიტეს:

1. დღის წესრიგში გათვალისწინებული N2,4 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. N1 საკითხი არ იქნას შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში, ამასთან მუნიციპალიტეტის მერიამ(კ.შარაშენიძე) დაუყონებლივ წარმოადგინოს მერიის დებულებაში შესატანი ცვლილებების პროექტი.

3. N3 საკითხი-არ იქნას შეტანილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში, შეთანხმდნენ მერიამ საკრებულოს შესაბამის კომისიასთან ერთად ბიუროს მომდევნო სხდომაზე წარმოადგინოს შენიშვნების შესაბამისად კორექტირებული პროექტი.

4. N5 საკითხზე -საკრებულოს ფრაქციებიდან სამუშაო ჯგუფში შესაყვანად მომდევნო ბიუროს სხდომამდე წარმოადგენილ იქნას თითო წარმომადგენელი მაინც.

5. N6, 7 საკითხებზე შესაბამისმა დარგობრივმა კომისიებმა განიხილონ და წარმოადგინონ დასკვნები მომავალ ბიუროს სხდომაზე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

